

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი



ვამტკიცებ: _____
სსსსუ-ს რექტორი
სრული პროფესორი
გელა ჯავახიშვილი

პროფესიული უმაღლესი ბანათლების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

(სამუშაო ვერსია)

განხილულია:

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი № 2008 წ.

შეთანხმებულია:

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო
სამეურნეო უნივერსიტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურთან

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო
სამეურნეო უნივერსიტეტის
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან

I. ზოგადი დებულებები

- 1.1 წინამდებარე დებულება არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტში პროფესიული უმაღლესი განათლების მიღების წესს;
- 1.2 პროფესიული უმაღლესი განათლება არის საუნივერსიტეტო სწავლების შუალედური საფეხურის პირველი დონე, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების პროფესიულ საფუძველიან სწავლებას, საშუალო ზოგად განათლებაზე უფრო მაღალ დონეზე მომზადებას.

2 მიზნები და ამოცანები

პროფესიული უმაღლესი განათლების მიზნები და ამოცანებია:

- სტუდენტთა პიროვნული ინტერესებისა და პოტენციალის რეალიზება;
- თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი პროფესიული უნარ-ჩვევების მიღება;
- კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.
- სპეციალისტების მომზადება, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;
- თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიონალიზმის ჩამოყალიბება.
- მიღებული ცოდნის საფუძველზე თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზაცია.

3. პროფესიული უმაღლესი განათლების მიღების წესი

- 3.1 უნივერსიტეტი აკრედიტაციის შედეგად დადგენილი მისაღები კონტინგენტის ფარგლებში განსაზღვრავს ადგილებს პროფესიული უმაღლესი განათლების სპეციალობებზე.
- 3.2 პროფესიული უმაღლესი განათლების მიღების უფლება აქვს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც ჩააბარა მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების წესის შესაბამისად და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა ჩარიცხვის უფლება.
- 3.3 პროფესიული უმაღლესი განათლების სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

4. სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

4.1 სტუდენტს უფლება აქვს:

- 4.1.1 თავისი ინტერესების შესაბამისად გაერთიანდეს უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციაში.
- 4.1.2 თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

- 4.1.3 ფინანსური ან მატერიალური დახმარების მიზნით სახელმწიფოსაგან, უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროდან მიიღოს სტიპენდია;
- 4.1.4 მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში. აირჩიოს სასწავლო პროგრამა;
- 4.1.5 აქტიური მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის, საზოგადოებრივ საქმიანობაში.

4.2 სტუდენტი ვალდებულია:

- 4.2.1. დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- 4.2.2. გადაიხადოს უნივერსიტეტში დადგენილი სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში.
- 4.2.3. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

5. პროფესიული უმაღლესი განათლების სასწავლო პროცესი

- 5.1 “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად პროფესიული უმაღლესი განათლების სპეციალობებზე მომზადების ხანგრძლივობა სამი წელია.
- 5.2 პროფესიული უმაღლესი განათლების სპეციალობებზე პროგრამებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს განსაზღვრავს შესაბამისი დეპარტამენტი და ფაკულტეტი, განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 5.3 პროფესიული უმაღლესი განათლების სპეციალობებზე სტუდენტთა ცოდნის შეფასება წარმოებს ტრანსფერისა და კრედიტების დაგროვების ევროპული სისტემის - „ECTS“-მიხედვით;
- 5.4 პროფესიული უმაღლესი განათლების სპეციალობებზე დიპლომის მისაღებად სტუდენტმა სრული სამი კურსის გავლის შემდეგ უნდა დააგროვოს 180 კრედიტი ანუ წელიწადში 60 კრედიტი.

6. გამოცდების ჩატარების წესი

- 6.1 სემესტრის განმავლობაში თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის ცოდნა ფასდება ასქულიანი (100) სისტემით: 91-100, A, ფრიადი; 81-90, B, ძალიან კარგი; 71-80, C, კარგი; 61-70, D, საშუალო; 51-60, E, დამაკმაყოფილებელი; 41-50, Fx, არადაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება; 0-40, F, სუსტი, სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს კურსი (დანართი 1. სტუდენტის ცოდნის შეფასების ინსტრუქცია).
- 6.2 სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:
- 6.2.1. დანიშნულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;
- 6.2.2. შეფასების მიღება გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით.
- 6.2.3. გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების (ე.წ. “შპარგალკა”) გამოყენება;
- 6.2.4. აუდიტორიიდან გაძევება გამოცდის ჩაშლის მცდელობის, ან საგამოცდო განაწესის დარღვევის გამო;

- 6.2.5. გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება;
- 6.3 დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოთხოვნის საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით, გადავადებული საგნების ჩაბარება უნდა მოხდეს მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- 6.4 გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობებია:
- 6.4.1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის გადაწყვეტილება სტუდენტის გამოცდაზე განმეორებით დაშვების შესახებ, დადგენილი წესის თანახმად;
- 6.4.2. 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე, მომდევნო სემესტრის საგამოცდო სესიების დროს, ამასთან არა უმეტეს ორი გამოცდისა.
- 6.4.3. თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება სწავლის წლიური საფასურიდან საგნის წილის მიხედვით, განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი დამატებით სემესტრში;
- 6.4.4. სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდში, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში;
- 6.4.5. ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის, ან არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დაუშვებელია.
- 6.5 სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანატს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

7. დამატებითი სემესტრის გაგლა

- 7.1 სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და დაფინანსების (სემესტრული გადასახადის) ფარგლებში განმეორებით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსები, სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით;
- 7.2 სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო, არაუმეტეს ორი სემესტრის მანძილზე;
- 7.3 დამატებით სემესტრში, სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანატის წარდგინების საფუძველზე, შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:
- 7.4 სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;
- 7.4.1. ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად.
- 7.4.2. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა კურსმოსმენილის აკადემიური ცნობა (მინიმალური კრედიტების რაოდენობაა 150).

8. გარიცხული ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა

- 8.1 ჩარიცხულ სტუდენტს, უნივერსიტეტიდან გარიცხვის/ამორიცხვის/ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს (არაუმეტეს 2-3 წლის განმავლობაში), გადაყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვისათვის დადგენილი რეგულაციის შესაბამისად;

9. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 9.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
- 9.1.1. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;
 - 9.1.2. აკადემიური შევებულება;
 - 9.1.3. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- 9.2 სტუდენტს აკადემიური შევებულება ეძლევა:
- 9.2.1. უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიზნით, არაუმეტეს სამი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლივობა;
 - 9.2.2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;
 - 9.2.3. მძიმე ავადმყოფობის მიზეზით;
 - 9.2.4. ოჯახური პირობების გამო (ავადმყოფი წევრების მეურვეობა, ორსულობა, ახალშობილთა მოვლა და სხვა) არაუმეტეს 2 სემესტრისა;
 - 9.2.5. ოჯახის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რის გამოც ვერ იხდის სწავლის საფასურს.
- 9.3 აკადემიურ შევებულებაში მყოფი სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

10 . სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 10.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
- 10.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
 - 10.1.2. პირადი განცხადება;
 - 10.1.3. პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;
 - 10.1.4. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა უნივერსიტეტში დადგენილ ვადებში;
 - 10.1.5. კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
 - 10.1.6. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა ზედიზედ სამი სემესტრის განმავლობაში;
 - 10.1.7. ერთი და იმავე საგნის ორჯერ მოსმენის შემდეგ კრედიტის ვერ მიღება;
 - 10.1.8. უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევა

11. პროფესიული უმაღლესი განათლების სწავლების ფინანსური უზრუნველყოფა

- 11.1 საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის პროფესიული უმაღლესი განათლების სპეციალობებზე სწავლა, შესაბამისად მომზადება, ფასიანია და მისი სიდიდე განისაზღვრება სპეციალობების მიხედვით ფაკულტეტების მიერ და მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
- 11.2 სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა, სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
- 11.3 უნივერსიტეტისა და სტუდენტს შორის სასწავლო კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში სწავლებისათვის გადახდილი საფასური სტუდენტს უკან არ უბრუნდება.
- 11.4 იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს პრეფერენციული (უფრო დაბალი, შეღავათიანი) ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, სტუდენტს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა;
- 11.5 აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის საფასური განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ტარიფით;
- 11.6 პირმა, რომელსაც შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, აღდგენის შემთხვევაში უნდა განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. სწავლის საფასური ამ შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით;
- 11.7 სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში, მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;
- 11.8 ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადებში გავლის გარეშე, სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამატებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება;

12. პროფესიული უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულისადმი წაყენებული მოთხოვნები

უმაღლესი პროფესიული განათლების სპეციალისტს მოეთხოვება:

ა) შესასწავლი პროფესიული სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა.

სპეციალისტს უნდა გააჩნდეს პროფესიის დარგის ღრმა ცოდნა, მეტი კომპენტენციით გამოყენებით სფეროში; იგი უნდა ფლობდეს პროფესიულ სფეროში მუშაობის მეთოდებს; კარგად უნდა ქონდეს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.

ბ) პროფესიული სფეროს შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

სპეციალისტს უნდა შეეძლოს პროფესიულ სფეროში პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა სტანდარტული, წინასწარ აპრობირებული მეთოდების გამოყენებით. მუშაობის დროს დაიცვას სათანადო ეთიკური ნორმები.

გ) ანალიზისა და სინთეზის უნარი.

დამოუკიდებლად შეეძლოს ახალი მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი პროფესიული სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

დ) პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.

შეეძლოს პროფესიულ სფეროში, თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, პრობლემების ძირითადი ელემენტების განსაზღვრა და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება.

ე) დროის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.

შეეძლოს თავისი პასუხისმგებლობის სფეროში საკუთარი სამუშაოს დაგეგმვა. მუშაობის პროცესში შეეძლოს საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება.

ვ) კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხო ენაზე.

შეეძლოს დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა. უნდა გააჩნდეს უცხო ენის ცოდნის B1 დონე- დამოუკიდებელი მოსაუბრე (დარგობრივ სფეროში).

ზ) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

სპეციალისტი უნდა იცნობდეს და თავისუფლად იყენებდეს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის პროფესიულ სფეროში; შეეძლოს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.

თ) სოციალური უნარები

ჯგუფური მუშაობის უნარი- უნდა შეეძლოს ეფექტურად ურთიერთობა სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში.

ი) სისტემური უნარები

სწავლის უნარი- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა.

პროექტის შემუშავების უნარი- შეეძლოს სამეწარმეო პროექტის შემუშავება და განხორციელება.

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი - პასუხი აგოს საკუთარ სამუშაოზე და შეეძლოს მისი შეფასება/კრიტიკა. შეეძლოს დამოუკიდებელი მუშაობა, მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. გარკვეულ პროფესიულ კონტექსტში პასუხისმგებელი უნდა იყოს სხვების საქმიანობაზეც.

13. პროფესიული უმაღლესი განათლების სპეციალობებზე კვალიფიკაციის მინიჭება

13.1 სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო პროგრამის მიხედვით დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი;

13.2 დიპლომირებული სპეციალისტის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გაიცემა განათლების დამადასტურებელი სპეციალური საბუთი – სპეციალისტის დიპლომი, უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული;

- 13.3 სტუდენტს, მის მიერ სასწავლო პროგრამის სრულად გაუვლელობის შემთხვევაში საერთო დებულების შესაბამისად, მიეცემა უნივერსიტეტის პროფესიული უმაღლესი განათლების სპეციალობებზე კურსმოსმენილის მოწმობა (სერთიფიკატი), (არანაკლებ 150 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში);

14. პროფესიული უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

პროფესიული უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროა ფერმერულ მეურნეობები და კერძო სექტორი. აგრეთვე ის მრავალპროფილიანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და საწარმოები, რომლებსაც საქმიანობისათვის სჭირდებათ აგრარულ სფეროში პროფესიული ცოდნა. პროფესიული უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულის უფლება აქვთ გააგრძელონ სწავლა ბაკალავრიატში. საქართველოს კანონით საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის შესაბამისად ორგანიზაციებში მათთვის განსაზღვრულია თანამდებობრივი დასაქმების სფეროები.